

დაგვიკავშირდით:

“სამოქალაქო განვითარების
სააგენტო“ (CiDA)

რუსთავის ოფისის მისამართი:
რუსთავი, 3700,
ფიროსმანის ქ. N 9/1

დმანისის ოფისის მისამართი:
დმანისი, წმ. ნინოს ქ. N40

დმანისის ცხელი ხაზი:
(+995 360) 22 16 85

რუსთავის ცხელი ხაზი:
(+995 341) 25 88 22 Ext 13
ელ ფოსტა: lawyer@cida.ge

იურიდიული დახმარებისა და სტრატეგიული სამართალწარმოების სერვისები კვამო ქართლი

თუ ხართ მოჯახვი ქალაქობის მსხვერპლი



პროექტი "იურიდიული დახმარებისა და სტრატეგიული სამართალწარმოების სერვისები ქვემო ქართლში" ხორციელდება სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (სიდა) მიერ საქართველოს იურიდიული ფორმების ასოციაციის (სიფა) პარტნიორობით.

პროექტი ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI)-ის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფარგლებში.

რა არის ძალადობა ოჯახში?

ოჯახში ძალადობად ითვლება ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული: ფიზიკური ძალადობა, ფსიქოლოგიური ძალადობა, ეკონომიკური ძალადობა, სექსუალური ძალადობა, მათ შორის გაუპატიურება ოჯახის ფარგლებში, იძულება, უგულებელყოფა.

თუ თვლით, რომ ხართ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, ვინ მიმართოთ?

ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსს განსაზღვრავს:

სასამართლო - შესაბამისი დამცავი ორდერის გამოცემით;

სამართალდამცავი ორგანოები (პოლიცია) - შესაბამისი შემაკავებელი ორდერის გამოცემით;

მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი - ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლისათვის „ოჯახში ძალადობის მსხვერპლი“ სტატუსის მინიჭებით.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია სახელმწიფო თავშესაფარი, სადაც მსხვერპლთა განთავსება ხდება 3 თვემდე ვადით.

რა სერვისებს სთავაზობს თავშესაფარი მსხვერპლს?

სამედიცინო მომსახურებას;
ფსიქოლოგიურ დახმარებას;
იურიდიულ კონსულტაციას.

რა დახმარების ბანკვა შეუძლია “სიდა“-ს?

არასამთავრობო ორგანიზაცია "სამოქალაქო განვითარების სააგენტო" (სიდა) ქვემო ქართლის რეგიონში ახორციელებს ქალთა და უმცირესობათა ჯგუფებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების პროექტს.

ჩვენი ორგანიზაციის იურისტები უფასოდ გაგიწევენ სამართლებრივ დახმარებას, მათ შორის დაიცავენ თქვენს უფლებებს სასამართლოში, სამართალდამცავ და ადმინისტრაციულ ორგანოებში.

დაგეხმარებიან რეაბილიტაციის მიზნით თქვენთვის სასურველი მომსახურების მიღებაში, კრიზისულ ცენტრთან დაკავშირებასა და სხვა სახის მომსახურების შერჩევაში.

ბახსოვდეთ:

თუ თქვენ გახდით ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, ან ფლობთ ინფორმაციას ოჯახში ძალადობის თაობაზე, დარეკეთ შემდეგ ნომრებზე:

116 006 - ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცხელი ხაზი.

112 - სპეციალურად მომზადებული ოპერატორების დახმარებით პოლიცია მოახდენს დროულ და ოპერატიულ რეაგირებას თქვენს მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე.